პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 28 მაისი, 1943 წ. № 115 (6740). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოკავშირეობის ხელშეკრულების წლისთავი

ერთი წლის წინათ, 1942 წლის 26 მაისს, საბჭოთა კავშირმა და დიდმა ბრიტანეთმა დასდეს ხელშეკრულება ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში კავშირისა და ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

მისი ხელმოწერით დაგვირგვინდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის ნაყოფიერი მოლაპარაკება ლონდონში ინგლისის მთავრობის ხელმძღვანელებთან, რაც გაგრძელება იყო იმ მოლაპარაკებისა, რომელიც მოსკოვში 1941 წლის დეკემბერში ამხანაგ **სტალინის** მონაწილეობით სწარმოებდა.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის ხელშეკრულების დადება მოასწავებდა „ისტორიულ მობრუნებას ჩვენი ქვეყნისა და ინგლისის ურთიერთობაში". **(სტალინი).**

იგი იყო დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილე ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთათვის. ამის შემდეგ მალე, 1942 წლის იანვარში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ მოლოტოვის ყოფნის დროს, დადებულ იქნა სსრ კავშირის შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რაც ძვირფასი დამატება იყო ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისა, რომელიც მასთან მიზნის ერთიანობით იყო დაკავშირებული.

ეს შეთანხმება აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარების გამოყენების პრინციპების შესახებ წარმოადგენს აქტს, რომელიც სდგამს „სერიოზულ ნაბიჯს წინ სსრ კავშირისა და ა. შ. შტატების ურთიერთობაში". **(სტალინი).**

მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა სრული საფუძვლით შეაფასა ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის ხელშეკრულებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების ხელმოწერა როგორც თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცების მომასწავებელი მოვლენა.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების დროიდან ერთმა წელმა განვლო. ეს იყო წელი შეუპოვარი; გაფთრებული ბრძოლისა გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელსაც მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის მოაქვს ნგრევა, მონობა და სიკვდილი, კაცობრიობის ათასწლოვანი კულტურის მოსპობა. ეს იყო იმ თავისუფლებისმოყვარე ხალხების სერიოზულ განსაცდელთა და სიხელოვან გამარჯვებათა წელი, რომელნიც ეწევიან სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლას მიხაილ იფერი ჭირის წინააღმდეგ, ჰიტლერელ ავაზაკთა წინააღმდეგ. ამ გამარჯვებათა გვირგვინში მარად იბრწყინებს ჩაუქრობელ ვარსკვლავად სტალინგრადის კედლებთან წარმოებული დიდი ბრძოლა — წითელი არმიის თავდადებისა და გმირობის, მისი მაღალი სამხედრო ოსტატობის და მისი მეცადინეობა—ამხანაგ **სტალინის** მხედართმთავრული ხელოვნების სიმბოლო.

ეს იყო წელი ჰიტლერელ ავაზაკთა გაშაგებული ცდებისა მიეღწიათ მათ მიერ დასახული საზიზღარი მიზნების განხორციელებისათვის—იარაღის ძალით და მოტყუების იარაღით ბრძოლის ველებზე და პროვოკაციისა და შანტაჟის ბნელ ტევრებში. ყველა ეს ცდა სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

გასული წლის მანძილზე თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობამ, რომელსაც სათავეში უდგანან დიდი დემოკრატიული სახელმწიფოები—სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, გაუძლო სერიოზულ ისტორიულ შემოწმებას უდიდეს ბრძოლათა ქარცეცხლში. სრული კრახი განიცადა ჰიტლერელი ავანტიურისტების ყველა იმედმა, რომ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა შორის საბრძოლო თანამეგობრობა დაიშლებოდა და დასუსტდებოდა.

მოხსენებაში საბჭოთა ხელისუფლების 25-ე წლისთავის შესახებ 1942 წლის 6 ნოემბერს ამხანაგმა **სტალინმა** გვიჩვენა სრული უსაფუძვლობა ყოველგვარი ეჭვისა იმის გამო, შესძლებს თუ ვერა ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიცია მტრის დამარცხებას.

ამხანაგმა **სტალინმა** გვიჩვენა, რომ მთელი ისტორიული ვითარება, რომელმაც შეჰქმნა პირდაპირი მუქარა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მოსპობისა და დამონებისა ჰიტლერული ყაჩაღური იმპერიალიზმის მხრივ, დაჭინებით უკარნახებს კოალიციის წევრებს, რომ საჭიროა საერთო მოქმედება იმისათვის, რათა კაცობრიობა იხსნან ველურობისა და საშუალო საუკუნეთა მხეცობისაკენ დაბრუნებისაგან.

ამხანაგმა **სტალინმა** განსაკუთრებული სიცხადითა და სიზუსტით ჩამოაყალიბა ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის მოქმედების პროგრამა, რომელმაც უფართოესი გამოხმაურება, მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა მთელი ჩვენი ხალხის მხრივ, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებისა და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მხრივ.

მოვლენათა მთელმა მსვლელობამ დაადასტურა ამხანაგ **სტალინის** სიტყვები. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 1942-43 წლის ზამთრის შეტევის პერიოდში წითელმა არმიამ სერიოზული დამარცხება აგვმა ჰიტლერელთა ჯარებს, მოსპო მტრის ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის უდიდესი ნაოდენობა, მოსპო მტრის ორი არმია სტალინგრადთან, ტყვედ წამოიყვანა მტრის 300 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, გერმანელთა უღლისაგან გაათავისუფლა ასობით საბჭოთა ქალაქები და ათასობით სოფლები. ეს იყო თავზარდამცემი, გამანადგურებელი დარტყმა ჰიტლერული სამხედრო მანქანის მიმართ, რომელსაც მანამდე არასოდეს არ განუცდია ასეთი სასტიკი დამარცხება.

ამავე დროს გაჩაღდა ჩვენი მოკავშირეების წარმატებითი ოპერაციები ლიბიისა და ტრიპოლიტანიის რაიონში. ზამთრის განმავლობაში ჩვენი მოკავშირეების ძლევამოსილმა ჯარებმა დაამარცხეს იტალია-გერმანიის ჯარები ჩრდილოეთ აფრიკაში და მოსპეს ასნი ტუნისის რაიონში.

გერმანელებმა განიცადეს ინგლის-ამერიკის სახელოვანი ავიაციის გამანადგურებელი დარტყმები გერმანიისა და იტალიის სამხედრო-სამრეწველო ცენტრებზე, რაც ფერფლად აქცევს ევროპაში იტალიელ-გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ მეორე ფრონტის შექმნის წინამორბედია.

„ამრიგად, ჩტერზე დარტყმა აღმოსავლეთიდან, წითელი არმიის მხრით, ომის განმავლობაში პირველად შეერთდა დარტყმასთან დასავლეთიდან, ჩვენი მოკავშირეების ჯარების მხრით—ერთიან საერთო დარტყმად". **(სტალინი).**

ჰიტლერულ სამხედრო მანქანაზე ეს ერთიანი საერთო დარტყმა გაისმა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა გულში, როგორც ჰიტლერელ მხეცებზე გამარჯვების წინამორბედი. მან მოიახლოებული ხსნის იმედი გაუღვიძა მილიონობით ადამიანებს, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ იტანჯებიან, იგი სამგლოვიარო ზარის რეკად გაისმა ფაშისტი არამზადებისათვის.

ჰიტლერელმა ავანტიურისტებმა დაიწყეს ყვირილი სამხედრო კრიზისის შესახებ. კრიზისი ფაშისტთა ბანაკში თავის გამოხატულებას პოულობს გაქნილ ჰიტლერელ პროვოკატორთა სასოწარკვეთილ მანევრებში. ეს მანევრები ნავარაუდევია იმისათვის, რომ მოატყუონ თავისუფლებისმოყვარე ხალხები, რომლებიც ეწევიან ბრძოლას თავიანთი სამშობლოსათვის, ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

ფაშისტი მგლები უუნაროდ და ტლანქად ხეხვევიან ცხვრის ტყავში. სულით ხორცამდე მოსნანთ ჰიტლერელ ავანტიურისტებს თავიდგან ჰაფინით გაზომონ მოკავშირენი თავიანთი ადლით. გრძნობენ რა მომავალი კატასტროფის მოახლოებას, გერმანელი ფაშისტები სულ უფრო და უფრო ხშირად ლაყბობენ ზავზე, ცდილობენ რა ამ ანკესზე წამოაგონ ვინმე. ჰიტლერელთა პროვოკაციული მანევრები იწვევს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ზიზღს ანტიჰიტლერული კოალიციის შემადგენლობაში შემავალ ყველა ქვეყანაში. ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილენი ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ჰიტლერული არმიების მხოლოდ სრულ განადგურებას და ჰიტლერული გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციას შეუძლია მიიყვანოს ევროპა მშვიდობიანობამდე.

თავისუფლებისმოყვარე ხალხთა წინაშე დგას ამოცანა—არა მარტო მოიგონ ომი, არამედ მოიგონ მშვიდობიანობაც. ომისშემდგომი პრობლემები კანონიერ ინტერესს იწვევენ ფართო მასებში. მხოლოდ ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე გერმანიის იმპერიალისტმა მეორედ გადასერა მსოფლიო სისხლისმსმელი და გამანადგურებელი ომის უფსკრულში. ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არა მარტო მიიყვანონ ომი საერთო მტერზე სრულ გამარჯვებამდე, არამედ აგრეთვე უზრუნველჰყონ მსოფლიოს ისეთი ომისშემდგომი მოწყობა, რომელიც შეუძლებელს გახდის სისხლიანი აგრესიის განმეორებას.

ამ ომისშემდგომ მოწყობაში კეთილშობილი და საპატიო მისია მოდის დიდი თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოების წილად, რომლებიც სათავეში უდგანან ანტიჰიტლერულ კოალიციას, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წილად.

ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის 26 მაისის ხელშეკრულებამ განსაზღვრა ხაზი ჩვენი მოქმედებისა ინგლისთან ერთად ომისშემდგომ პერიოდშიც. მაგრამ ეს ხელშეკრულება უფეშველია მოწოდებულია განსაკუთრებული როლი შეასრულოს. ეს უკვე დაამტკიცა მისი მოქმედების განვლილმა პირველმა წელმა არა მარტო ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების საქმეში, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლეს სბჭოში 1942 წლის 18 იანვარს ამხანაგმა ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა, — ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობათა მთელი ერთობლიობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის ხელშეკრულება, დადებული ომის დროისათვის და ომის შემდეგ 20 წლის პერიოდისათვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველჰყოფს მსოფლიოს სამართლიან მოწყობას ომის შემდეგ.

მაგრამ ომისშემდგომი ევროპის სამართლიანი ორგანიზაციის ამოცანა არა მარტო გადაჭრილი ვერ იქნება, არამედ დღის წესრიგში დაყენებულიც კი ვერ იქნება უიმისოდ, თუ დამსხვრეულ კი იქნა ჰიტლერული ტირანია, თუ განადგურებულ და მოსპობილ არ იქნა ჰიტლერული ყაჩაღური იმპერიალიზმი, რომელმაც გერმანულ-ფაშისტური მონობის სამარცხვინო უღელი დაადგა მილიონობით დამონებულ ადამიანებს, რომლებიც ჰიტლერული ოკუპაციის სიმძიმის ქვეშ გმინავენ.

ომისშემდგომ პრობლემათა წარმატებითი გადაწყვეტა, მთელი მოწინავე კაცობრიობის ინტერესების, მტკიცე და სამართლიანი ზავის უზრუნველყოფის ინტერესების მიხედვით გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ჰიტლერული არმიების სრული განადგურებისა და გერმანია-იტალიის კოალიციის უსიტყვო კაპიტულაციის პირობით. მხოლოდ იმ პირობით, თუ მთლიანად განადგურებული და მოსპობილი იქნება ჰიტლერული ხელმწიფო, რომელიც ჰიტლერული ტირანიის განსორციელების მთავარ იარაღს წარმოადგენს, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ თავისუფლებისმოყვარე ხალხები კვლავ არ გახდებიან გერმანელ დამპყრობთა მსხვერპლი.

ამ ომიანების წარმატებით გადაჭრისაკენ მიმავალ გზაზე დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს 1942 წლის 26 მაისის ხელშეკრულება.

ერთი წლის წინათ ლონდონში სსრ კავშირის მთავრობის სახელით ამ ხელშეკრულებას ხელს რომ აწერდა, ამხანაგმა ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა მიუთითა იმაზე, რომ ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების ახალ დიდმნიშვნელოვან ეტაპს ევროპაში ჩვენი საერთო და შეურიგებელი მტრის წინააღმდეგ კავშირისა და სამხედრო ურთიერთდახმარების საფუძველზე, როგორც ახლა, ისე მომავალში, რომ იგი იძლევა საიმედო საფუძველს ერთად მუშაობისათვის ომის შემდეგაც, რაც ბევრად აძლიერებს მის მნიშვნელობას.

ჩვენ მოგველის გადამწყვეტი ბრძოლები ჰიტლერელთა ყაჩაღურ ურდოებთან. ეს ბრძოლები მცირე მსხვერპლს, გაჭირვებასა და სისხლს როდი მოითხოვენ. საჭიროა მთელი ძალებისა და შესაძლებლობების მობილიზება იმისათვის, რომ დავამარცხოთ მტერი და, ამრიგად, გავიკაფოთ გზა მშვიდობიანობისაკენ. უდიდესი სიმედგრე, რკინისებური სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ საბჭოთა კავშირის ხალხებმა, მათმა წითელმა არმიამ, ისე როგორც ჩვენმა მოკავშირეებმა და მათმა არმიებმა.

ჯერ კიდევ მოგველის სასტიკი და მძიმე ბრძოლა. გამარჯვების ურყევი გადაწყვეტილებითა და ფოლადისებური რწმენით ეგებებიან ამ ბრძოლებს ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილენი. მათ ხელთ არის ინიციატივა, მათი ძალიერება დღითიდღე იზრდება. მზადდება ახალი მრისხანე დარტყმები, რომლებიც ყაჩაღურ გერმანიას ორ ცეცხლს შუა დააყენებენ.

ჩვენ გვწამს, ჩვენ ვიცით—„ახლოვდება დრო, როცა წითელი არმია ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად ხერხემალს გადაუმტვრევს ფაშისტ მხეცს". **(სტალინი).**

„პრავდის" მოწინავე, 26/V.

(მოცემულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისი

26 მაისს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თანადასწრებით მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისი.

მის უდიდებულესობას გეორგ VI-ს, დიდი ბრიტანეთის მეფეს

ლონდონი

ჩვენს ქვეყნებს შორის ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების პირველი წლისთავის დღეს გთხოვთ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მისალმება.

ინგლის-ამერიკის შეიარაღებულ ძალთა სახელოვანმა გამარჯვებამ ტუნისში, რასაც მოჰყვა იტალია-გერმანიის ჯარების განადგურება და რაც მოწმობს მოკავშირეთა ძალების მძლავრ ზრდას, აღტაცების გრძნობები გამოიწვია საბჭოთა ხალხის უაღრესად ფართო ფენებში. ჩვენ კიდევ არამცირე სიძნელეებს შევხვდებით მომავალში, მაგრამ მტერს შესვენების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

მე ღრმად მწამს, რომ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის კავშირი, ხელშეკრულებით განმტკიცებული, და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბრძოლო თანამშრომლობა მიგვიყვანს ჩვენს მიზნამდე — მტერზე გამარჯვებამდე და ისეთ თანამშრომლობამდე ომისშემდგომ პერიოდში, რომლითაც დაინტერესებული არიან ჩვენი ხალხები და ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნის ხალხები.

მ. კალინინი

ბაჯონ ანჯონი იდენს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს

ლონდონი

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის მოკავშირეობისა და ომის შემდეგ ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების წლისთავზე გთხოვთ თქვენ და ბრიტანეთის მთავრობას მიიღოთ სსრ კავშირის მთავრობისა და საბჭოთა ხალხისაგან, აგრეთვე პირადად ჩემგან გულითადი მისალმება და გადასცეთ ჩვენი საუკეთესო სურვილები დიდი ბრიტანეთის ხალხებს.

ახლა, ხელშეკრულების მოქმედების პირველი წლის გასვლის შემდეგ, შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ ამ ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და ჩვენი ხალხების საბრძოლო თანამშრომლობის განმტკიცებას.

ვ. მოლოტოვი

მის აღმაჯებულებას ბაჯონ ვ. მ. მოლოტოვს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს

მოსკოვი

ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ამ პირველ წლისთავზე შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობისა და ამ ქვეყნის ხალხის სახელით, ისევე როგორც ჩემი საკუთარი სახელით, ჩვენს გულთბილ მისალმებას გიძღვნით თქვენ, სსრ კავშირის მთავრობასა და საბჭოთა ხალხს. განვლილი წელი სავსე იყო ამბებით და როდი იყო უწარმატებო ორივე ჩვენი ქვეყნისათვის. წითელმა არმიამ თავის ამაყ დროშებზე დასწერა სტალინგრადის სახელი და, უკუაგდო რა დამპყრობი, შემმუსვრელი დარტყმები აგემა მას. ბრიტანეთისა და მოკავშირეთა არმიებმა ტრიუმფით დაამთავრეს მოწინააღმდეგისაგან აფრიკის განთავისუფლების ამოცანის გადაწყვეტა, მაშინ როცა მოკავშირეთა საჰაერო ძალები ულმობლად ბომბავდნენ მტრის მთავარ დასაყრდენს. ჩვენ შეგვიძლია იმედით მოველოდეთ შემდეგ წელს, დარწმუნებულნი იმაში, რომ თითოეული ჩვენგანი თავის უკანასკნელ შესაძლებლობამდე შეასრულებს თავის როლს ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ, შესაძლოა, შევხვდეთ საშიშროებას, და შესაძლოა, იმედის გაცრუებასაც ექნეს ადგილი, მაგრამ ჩვენ აქ, დიდ ბრიტანეთში, დარწმუნებული ვართ, რომ ყოველივე ეს შეიძლება და კიდეც იქნება დაძლეული და რომ კავშირი ინგლის-საბჭოთა კავშირისა, რაც მზარდი მეგობრობითა და ურთიერთგაგებით ხასიათდება და ნაკადია ომის ცეცხლში, — გაგრძელდება ძლევამოსილი შშვიდობიანობის შემდგომ პერიოდში ჩვენი ორივე ხალხის საერთო კეთილდღეობისათვის და იმ საქმისათვის, რომლითაც ღრმად არიან დაინტერესებულნი გაერთიანებული ერები.

ანტონი იდენი

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოკავშირეობის ხელშეკრულების წლისთავის აღსანიშნავად

ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში სსრ კავშირისა და დიდ ბრიტანეთს შორის კავშირისა და ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ დადებული ხელშეკრულების წლისთავის აღსანიშნავად 26 მაისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა გამართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ: დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. გ. სტენდლი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ბ-ნი ჯ. ე. დევისი, გენერალ-მაიორი დ. ბერნსი, აგრეთვე ბრიტანეთის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, ბრიტანეთისა და ამერიკის სამხედრო მისიათა მეთაურები და ბ-ნ ჯ. ე. დევისის მხლებელი პირნი. საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: ამხ. ა. ი. მიქოიანი, ა. ი. ვიშინსკი, ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. გოლიკოვი, ვ. გ. დეკანოზოვი, ა. ე. კორნეიჩუკი, მ. მ. ლიტვინოვი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომელნი.

ლისიჩანსკის რაიონში

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

„პრავდის" ზვეზდას" კორესპონდენტი იუწყება:

დღეს დილით ლისიჩანსკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ინტენსიური საარტილერიო მომზადების შემდეგ, რომელმაც დაახლოებით ერთ საათს გასტანა, იერიში მიიტანეს მტრის პოზიციებზე და წარმატებით წაიწიეს წინ. იერიშის წარმატება მიღწეულ იქნა დაზვერვის აქტიური მოქმედების მეოხებით, ცეცხლითი ბრძოლის დროს, რომელიც ზედიზედ რამდენიმე დღე სწარმოებდა, ქვეითი და საარტილერიო დაზვერვა გულდასმით სწავლობდა იერიშის ობიექტთა მისადგომებს, განთავსება მოწინააღმდეგის საცეცხლე საშუალებათა განლაგება წინა ხაზზე, განსაზღვრა ის ადგილები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად იყენებენ დაცულნი ცეცხლით. იმ პოზიციებზე, სადაც გერმანელებს დიდძალი საარტილერიო საშუალებები და ავტომატური იარაღი ჰქონდათ, იერიშის მიტანა შეიძლებოდა მხოლოდ ფრონტიდან. ეს იერიში განსაკუთრებით უნარიანად განახორციელა გვარდიის ერთი ქვეგანაყოფის მეთაურმა ჩერიევმა.

იმ დროს, როცა არტილერია თრგუნავდა გერმანელთა საცეცხლე საშუალებებს, ფლანგებზე, ჩერიევმა ფრუნტად მოუყარა თავი ქვეითს ჯარს პატარა დაბლობში. როგორც კი არტილერისტებმა ცეცხლი მოწინააღმდეგის თავდაცვითი პოზიციების სიღრმეში, გადაიტანეს, მან დაიწყო იერიში. ჩვენი ქვეითები სწრაფად შეიჭრნენ გერმანელების განლაგებაში და ერეკებოდნენ მათ ფრანატებითა და თოფის ცეცხლით.

ჩერიევის ქვეგანაყოფის წარმატებამ დადებითი გავლენა მოახდინა სხვა ქვეგანაყოფის მოქმედებაზე, რომელმაც განდევნა გერმანელები მათ მიერ დაკავებული მაღლობიდან. აქ მტრის სიმაგრეებს ფლანგიდან შემოუარეს, ვინაიდან მოწინააღმდეგის ცეცხლითი კავშირი მის მეზობელთან სავსებით ჩახშობილი იყო ჩვენი არტილერიის ცეცხლით. ამრიგად, წარმატებითი იერიშების შედეგად ჩვენმა ნაწილებმა შესაძლებლობა მიიღეს გააფართოონ დაკავებული პლაცდარმი.

მთელ რიგ ადგილებში ბტერი კონტრიერიშებზე გადმოდის. ერთი ასეთი კონტრიერიში მოიტანეს გვარდიის იმ ქვეგანაყოფის უბანზე, რომელსაც რიაბეცევი მეთაურობს. იერიშზე გადმსულ მტრის ქვეითს ჯარს ჯერ არტილერიის ცეცხლით შეხვდნენ, შემდეგ კი მასზე იერიში მიიტანეს ჩვენმა მებრძოლებმა ლუკატსკის მეთაურობით. ამ შეტაკებაში მოსპობილ იქნა 50-მდე ჰიტლერელი.

ამის შემდეგ, რაც ჩვენი ქვეგანაყოფები მიღწეულ ზღუდეზე გამაგრდნენ, ცეცხლითი ბრძოლის ინიციატივა საბჭოთა არტილერიის მხარეზე გადმოვიდა. ახლახან მიღებული წინასწარი ცნობებით, გერმანელებმა დღეს ჩვენი არტილერიის ცეცხლისაგან ასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს. ჩახშობილია მოწინააღმდეგის ერთი სანაღმმტყორცნო ბატარეა. გერმანელები ცდილობენ დაუპირდაპირონ ჩვენი ნაწილების აქტიურ მოქმედებას თავისი ბომბდამშენი ავიაციის თავდასხმები. მაგრამ ჩვენი ავიაგანადგურებლები საშუალებას არ აძლევენ მას მოუახლოვდეს დასაბომბავ რაიონებს და აიძულებენ უწესრიგოდ ჩამოჰყარონ ბომბები.

ლისიჩანსკის რაიონში ბრძოლები გრძელდება.

ვ. ყარა-მურზა

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერების მოღვაწეებს სამეცნიერო ხარისხები და წოდებანი მიენიჭათ

მოსკოვი, 27 მაისი (საკადისი). უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ სამეცნიერო ხარისხები და წოდებანი მიანიჭა საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერების მოღვაწეთა ჯგუფს.

ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს პ. ვ. გუგუშვილს, რომელიც 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისი სადოქტორო დისერტაცია მიძღვნილია ამიერკავკასიის კოლონიზაციის ისტორიისადმი მე-19 საუკუნეში. გუგუშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი სხვა ნაშრომნი საქართველოს ისტორიის დარგში.

ჰიროფესორის სამეცნიერო ხარისხი დაუმტკიცდათ თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს ი. ქ. შველიძეს და დ. ი. ბერეჟიანს.

ლაგოდეხის რაიონმა შეასრულა თესვის გეგმა

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა 26 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ყველა საგაზაფხულო კულტურის თესვა. ვადაზე ადრე მზესუმზირა ნაცვლად 300 ჰექტარისა დათესილია 305 ჰექტარი, საგაზაფხულო მარცვლეული კულტურები ნაცვლად 2.650 ჰექტარისა დათესილია 2.660 ჰექტარი, საქონლის საკვები ბალახები ნაცვლად 700 ჰექტარისა 706 ჰექტარი, ბაღრეული კულტურები ნაცვლად 60 ჰექტარისა 62 ჰექტარი, ბოსტნეული 40 ჰექტარის ნაცვლად 42 ჰექტარი, კარტოფილი 150 ჰექტარი, სასილოსე და საკვები ძირნაყოფა მცენარეები დათესილია 170 ჰექტარი, ლობიო სუფთა ნთესი 50 ჰექტარი, გერანი დარგულია 200 ჰექტარი,

თამბაქოს რგვა 3.300 ჰექტარზე ვადამდე დამთავრდა.

წარმატებით მიმდინარეობს სათოხნი კულტურების მასობრივად დამუშავება. კოლმეურნეობები გაცხოველებით ემზადებიან მოსავლის ასაღებად.

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი შ. ნუცუბიძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. გელაშვილი

ქუთაისის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის მაისის გეგმა

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა 26 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა, მოკრეფილია და ჩაის მიწდებ პუნქტებში ჩაბარებულია 71 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 ტონისა. მოკრეფილი ფოთლის 83 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი ბაბრიაძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მაღლაფერიძე

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 მაისის დილის ცნობა

26 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

***

დასავლეთის ფრონტზე 6 ნაწილის არტილერისტებმა მოახდინეს ცეცხლითი თავდასხმა მოწინააღმდეგის კოლონაზე. მეთვალყურეობით გამორკვეულა, რომ საარტილერიო ცეცხლდაშენის შედეგად დამსხვრეულია სულ ცოტა 10 ავტომანქანა, გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი. 6 ნაწილის სნაიპერებმა დღის განმავლობაში მოსპეს გერმანელთა 69 ჯარისკაცი და ოფიცერი. სნაიპერმა ამხ. ვორონოვმა გაჟლიტა 5 ჰიტლერელი, ამხ. კულეკიმ—4, სნაიპერებმა ამხ. სპესივცევმა და რიბალკომ მოჰკლეს 6 გერმანელი.

***

ბალაკლეის სამხრეთით მოწინააღმდეგის 50 მზვერავი გადმოვიდა მდინარე სევერნი დონეცის მარცხენა ნაპირზე. ჩვენმა მებრძოლებმა აღყა შემოარტყეს გერმანელთა რაზმს და გადაუჭრეს უკანდასახევი გზა. ჰიტლერელები, რომლებმაც წინააღმდეგობა გასწიეს, მოსპობილ იქნენ, ხოლო დანარჩენნი ტყვედ არიან წამოყვანილნი.

***

დონის როსტოვის დასავლეთით აქტიურ მოქმედებას ეწეოდნენ მზვერავი ჯგუფები. ერთ უბანზე მტრის ქვეითი ჯარის ბატალიონი ღამით ცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. მტრის განზრახვა დროზე იქნა გამოაშკარავებული. ჩვენი მოწინავე ქვეგანაყოფები შეხვდნენ გერმანელებს ძლიერი საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ცეცხლით. ჰიტლერელებმა დაკარგეს ნოკლულთა სახით 90-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და დაიხიეს პირვანდელ ზღუდეებზე.

***

სევსკის რაიონში ამხ. კარავაევის მეთაურობით მოქმედმა ზვერავმა ჯგუფმა საურიდან სროლა აუტეხა ჰიტლერელთა რაზმს. მოწინააღმდეგემ გზაზე 40-მდე გვამი დატოვა. 6 ნაწილის არტილერისტებმა დაანსხვრიეს გერმანელთა 4 ძელმაწური საცეცხლე წერტი, მოსპეს 3 ავტომანქანა და ავტოცისტერნი.

***

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა და სნაიპერებმა გაჟლიტეს 200-მდე ჰიტლერელი. ერთ უბანზე 6 ნაწილის ზვერავებმა, მტრის თავდაცვის წინა ხაზის ახლოს, ხვრეში აღმოაჩინეს გერმანელთა ქვეითი ჯარის დაჯგუფება. უფროს სერჟანტ ბაიმულინისა და სერჟანტ ტერეშენკოს გუნდებმა სანაღმმტყორცნო ცეცხლით მოსპეს 30 ჰიტლერელი.

ჩვენმა მფრინავებმა და ჯარების საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდეს გერმანელთა 4 თვითმფრინავი.

***

კალინინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 მაისის დილის ცნობა

25 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

***

კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და 3 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ პუნქტებისათვის ბრძოლაში გაჟღერტილია 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დავლა და ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენმა მზვერავმა რაზმმა კიდევ ერთი დასახლებული პუნქტიდან განდევნა ჰიტლერელები. გერმანელთა გარნიზონი, რომელიც ამ დასახლებულ პუნქტს იცავდა, მთლიანად მოსპობილია.

***

ლისიჩანსკის რაიონში 6 ნაწილის არტილერისტებმა გერმანელთა 3 ბლინდაჟი დანგრიეს, თვითმავალი ქვემეხი მოსპეს და ჰიტლერელთა ერთ ოცეულზე მეტი გაჟღერტეს. საბჭოთა მფრინავმა გამანადგურებლებმა გერმანელთა თვითმფრინავი აიძულეს დაშვებულიყო ჩვენს ტერიტორიაზე.

***

დონის როსტოვის დასავლეთით კანტიკუნტი საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლა იყო ორივე მხრივ. ჩვენი ნაღმსატყორცნების ცეცხლით გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, დამწვარია 10 საზღვარი სამხედრო ტვირთიანად და დანგრეულია 5 ბლინდაჟი. 6 ნაწილის მზვერავებმა მავთულხლართები გადალახეს და მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრნენ. ჩვენმა მებრძოლებმა 16 ჰიტლერელი მოჰკლეს, ტყვეები წამოიყვანეს და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

***

ვოლხოვის ფრონტზე, 6 ნაწილის უბანზე, 60 გერმანელმა ჯარისკაცმა სცადა ჩვენი ძელმიწური საცეცხლე წერტილის ბლოკირება. ძელმიწურის გარნიზონი თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხვდა მტერს და 20 გერმანელი ჯარისკაცი მოსპო. დანარჩენმა ჰიტლერელებმა სწრაფად დაიხიეს უკან. იმ ქვეგანაყოფის სნაიპერთა ჯგუფმა, რომელიც ამ დასახლებულ პუნქტს იცავდა, მთლიანად მოსპობილია.

***

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა ორ დღეში 200-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟღერტეს. 6 შენაერთის არტილერისტებმა ჩაეჩუმეს მოწინააღმდეგის რამდენიმე საარტილერიო ბატარეა, აიფეთქეს 1 საწყობი სამხედრო მასალა, დაანგრიეს მტრის 22 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 8 ბლინდაჟი.

ლენინგრადის მისადგომებზე საჰაერო ბრძოლებში ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მფრინავებმა გერმანელთა 8 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

***

გერმანელთა დიდი ძალები გარს შემოერტყნენ რამდენიმე პარტიზანულ რაზმს, რომელნიც უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედებენ. საბჭოთა პატრიოტებმა მტრის ალყა გაარღვიეს და გააფთრებულ ბრძოლაში მძიმე ზარალი მიაყენეს მტერს. პარტიზანებმა დასწვეს 1 ტანკეტი, 3 ჯავშნიანი მანქანა, 17 ავტომანქანა და გაჟღერტეს რამდენიმე ასეული ჰიტლერელი. მათ გერმანელებს წაართვეს 1 ქვემეხი, ბევრი ავტომატი, შაშხანები, 20.000 ვაზნა და სხვა დავლა.

* * *

გერმანიის 251-ე ქვეითი დივიზიის 459-ე პოლკის 1-ლი ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ფრიდრიხ კოხმა განაცხადა: „სტალინგრადთან მომხდარი კატასტროფის შემდეგ. ბევრ გერმანელ ჯარისკაცს გამარჯვების იმედი დაეკარგა. ამას წინათ გერმანიას კიდევ ერთი საგრძნობი დარტყმა აგემეს. როცა გერმანიის რადიომ გადმოსცა ცნობა, რომ ტუნისისა და ბიზერტის ქუჩებში ბრძოლაა, ჩვენ მივხვდით, რომ აფრიკისათვის ბრძოლა საბოლოოდ წაგებული იყო. გერმანიამ 4 თვის განმავლობაში ორი მძლავრი არმია დაჰკარგა. საკმაო საფუძველია სასოწარკვეთილებისათვის. ყველას აწუხებს კითხვა, შესძლებენ თუ არა გერმანიის სხვა შენაერთები თავიდან აიცილონ პაულოუსისა და არნიმის არმიების ბედი. გერმანიის არმიამ უდიდესი ზარალი ნახა აღმოსავლეთის ფრონტზე. გერმანიის რეზერვები დღითი დღე ილეკა. ამას ადასტურებს, უწინარეს ყოვლისა, ტოტალური მობილიზაცია. შემთხვევითი როდია, რომ ტოტალური მობილიზაცია ბევრმა ჯარისკაცმა გერმანიის სამხედრო კატასტროფის მომასწავებლად მიიჩნია“.

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები მხეცურად გაუსწორდნენ ვიტებსკის ოლქის სოფლებს—ნეზალეტკის, კულეშოვის და დეკორაშჩის მშვიდობიან მცხოვრებთ. ჰიტლერელმა კაციჭამიებმა მხეცურად აწამეს და დახვრიტეს 85 მოხუცი, ქალი და ბავშვი. კოლმეურნეთა ქონება გერმანელებმა მთლიანად დაიტაცეს. ბევრი სახლი და შენობა დაწვეს.

* * *

ბეუტენის (ზემოსილეზია) მახლობლად სამხედრო ქარხანაში მოხდა აფეთქება, რამაც დიდი ხანძარი გამოიწვია. ცეცხლმა რამდენიმე საათრა გაანადგურა. გესტაპოელებმა მუშებში მსობრივი დაპატიმრება მოახდინეს. დაპატიმრებულთა შორის ბევრია გერმანიაში ძალით წაყვანილი უცხოელი.

26 მაისის საღამოს ცნობა

26 მაისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

***

25 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 20 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, აიფეთქეს 1 საწყობი სამხედრო მასალა, ჩაეჩუმეს 5 საარტილერიო ბატარეა, ჩასძირეს სადესანტო კარჭაპი, დაზიანეს მოწინააღმდეგის 2 ტრანსპორტი და 2 კარჭაპი.

***

ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და 3 ნაღმსატყორცნი, დაამტვრიეს 7 ავტომანქანა და საზღვარი ტვირთიანად. ყუბანის ქვემოწელში მოწინააღმდეგემ 2 ბატალიონამდე ქვეითი ჯარით იერიში მოიტანა 6 ნაწილის პოზიციებზე. გააფთრებული ბრძოლის შედეგად ჩვენმა მებრძოლებმა მტერი უკუაგდეს და მძიმე ზარალი მიაყენეს მას.

***

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაანგრიეს 5 ბლინდაჟი და აეფეთქებინა მოწინააღმდეგის 2 საარტილერიო ბატარეა. ერთ უბანზე 6 ნაწილის მზვერავთა რაზმმა მოწინააღმდეგის განლაგებაში შეაღწია და იერიში მიიტანა ჰიტლერელთა ჯგუფზე, რომელიც თავდაცვის სამუშაოს ასრულებდა. ჩვენმა მებრძოლებმა 40 გერმანელი ჯარისკაცი გაჟღერტეს, ხელთ იგდეს ტყვეები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

***

დონის როსტოვის დასავლეთით გერმანელებმა რამდენიმე უბანზე სცადეს ეწარმოებინათ ბრძოლით დაზვერვა. თოფ-ტყვიამფრქვევისა და არტილერიის ცეცხლით ნოწინააღმდეგე უკუგდებულია თავდაპირველ პოზიციებზე. ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს მტრის 2 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, 6 ბლინდაჟი, 2 სათვალთვალო პუნქტი, 5 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთიანად და გაჰფანტეს ჰიტლერელთა 1 ბატალიონამდე ჯარი.

***

ლისიჩანსკის რაიონში გერმანელთა რაზმმა კვამლის საფარქვეშ სცადა გადმოსულიყო მდინარე სევერნი დონეცის მარცხენა ნაპირზე. გერმანელებს ზალპებით შეხვდნენ და აიძულეს სწრაფად დაეხიათ უკან. ბევრი ჰიტლერელი მდინარეში დაიხრჩო.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 3 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის ერთი თვითმფრინავი დაზიანებულ იქნა საზენიტო არტილერიის ცეცხლით და ჩვენს ტერიტორიაზე ჩამოვარდა.

***

მოგილევის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიკის, რომლებიც პოლონელი ხალხის მოსისხლე მტრების—ჰიტლერელების ბანაკში გადაბარგდნენ. გაზეთი ბრძოლას უცხადებს მატუშევსკებისა და მაცკევიჩების პროვოკაციულ, აგრესიულ ზრახვებს. იგი სამართლიანად სწერს, რომ მტერთან ბრძოლაში იზრდება პოლონელების, უკრაინელებისა და ბელორუსების მეგობრობა, მათი საბრძოლო ძმობა. გაზეთი სასტიკად ებრძვის ჰიტლერულ „ახალ წესრიგს“.

პოლონელ პატრიოტთა გაზეთი იბრძვის ჰიტლერული „ტოტალური მობილიზაციის“ წინააღმდეგ და გვიჩვენებს, თუ პოლონელი ხალხი როგორ ფუშავს ფაშისტთა მხეცური ღონისძიებებს. „ვოლნა პოლსკას“ მეექვსე ნომერში მოთხრობილია, გერმანელი ოკუპანტები როგორ ყლეტენ პოლონელებს, კერძოდ პოლონელ ბავშვებს.

„ვოლნა პოლსკა“ პირველი ნომრიდანვე კრიტიკულად უცქეროდა სიკორსკის მთავრობის ორაზროვან პოლიტიკას. ეს მთავრობა პოლონელ ხალხს არ რაზმავდა საბრძოლველად, პირიქით, ეუბნებოდა მას „მოეცადა“, ხელი აეღო პარტიზანულ ბრძოლაზე. სიკორსკის მთავრობა, რომელიც პრეჰიტლერული ჯგუფის იარაღი გახდა, იქამდე მივიდა, რომ საბჭოთა კავშირთან უფრო ცუდი დამოკიდებულება იქონია, ვიდრე ეს აუო რიბენტროპსა და ბეკის დროს. ბოლოს იგი წამოეგო გებელსისა და ჰიმლერის მიერ შეთითხნილი საზიზღარი პროვოკაციის ანკესზე—კატინის ტყეში 10.000 პოლონელი ოფიცრის დახვრეტის შესახებ, იმ დროს, როცა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ პოლონელი ხალხის გაჟღერტა და მოსპობა მხოლოდ ჰიტლერულ ავაზაკთა სისხლიანი ხელის საქმეა.

საბჭოთა კავშირმა გასწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა სიკორსკის მთავრობასთან. „ვოლნა პოლსკა“ ნიღაბს ხდის სიკორსკის მთავრობის პროფაშისტურ საქმიანობას. იგი მოგვითხრობს, რომ სსრ კავშირში შექმნილი პოლონური არმია, რომელსაც გენერალი ანდერსი მეთაურობდა, ნამდვილად არ იყო დემოკრატიული არმია. მისი სარდლობა სრულიგანად არ ფიქრობდა წითელი არმიის მხარდამხარ ებრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ. ეს არმია ანდერსმა საბჭოთა კავშირიდან გაიყვანა ახლო აღმოსავლეთში. საბჭოთა მთავრობამ დაკმაყოფილა პოლონელ პატრიოტთა თხოვნა ანდერსის არმიის ნაცვლად შექმნილიყო ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის დივიზია პოლკოვნიკ ზიგმუნდ ბერლინგის სარდლობით. „ვოლნა პოლსკას“ მეცხრე ნომერში ზიგმუნდ ბერლინგი ნიღაბს ხდის ანდერსს და მის სარდლობას. როგორც ცნობილია, პოლონეთის არმია ყაღიბდებოდა დონის შუაწელის რაიონში. და მაშინ გენერალ ანდერსს განუცხადეს: „მე ძლიერ კმაყოფილი ვარ... როცა გერმანელთა დარტყმების შედეგად წითელი არმია დაიშალება, რაც მოხდება არა უგვიანეს, ვიდრე რამდენიმე თვის შემდეგ, ჩვენ შევძლებთ გავიკაფოთ გზა ირანისაკენ კასპიის ზღვის გასწვრივ. მაშინ ამ ტერიტორიაზე ერთად-ერთი შეიარაღებული ძალა ვიქნებით და შეგვეძლება გავაკეთოთ ყველაფერი, რასაც მოვასურვებთ“. მაგრამ წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანელები მოსკოვთან. პოლონეთის არმიის ერთი დივიზია, მზად იყო ბრძოლისათვის. მას შეეძლო წითელ არმიასთან მხარდამხარ ებრძოლა მტრის წინააღმდეგ. გენერალმა ანდერსმა კი გენერალ ბორტუსეიეხოვიჩს, მე-5 ქვეითი დივიზიის მეთაურს ტატიშჩევში, განუცხადა: „რა გვეჭირება...“. ბერლინგი შემდეგ მოგვითხრობს: „მართლაც, ეს ვაჟბატონები არ ჩქარობდნენ. ყოველივე შესაძლებელი კეთდებოდა იმისათვის, რომ გაეჭიანურებინათ დივიზიის გაწრთვნისა და შეიარაღების საქმე. გენერალ ანდერსის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ოკულიცკი საბოტაჟს უწევდა მიმოვლის ბაზის მოწყობას კასპიის ზღვაზე, სადაც უნდა მოსულიყო ინგლისური საჭურველი და სურსათი ირანიდან. პოლონეთის არმიის საწყობები თეიერანში 1942 წ. მაისში იმტრეოდა ინგლისელთა მიერ მოზიდული საჭურველით, პროდუქტები ფუჭდებოდა. კასპიის ზღვაზე საბჭოთა ხელისუფლებამ სპეციალურად გაიყვანა რკინიგზის შტო, ააგო საწყობები და სარდაფები, მაგრამ... გენერალ ანდერსის სარდლობამ არ ჩამოატანინა არც ერთი შაშხანა, არც ერთი ტანკი, არც ერთი ტომარა სურსათი. კასპიის ზღვაზე მოწყობილი ბაზა გამოყენებულ იქნა, მაგრამ მხოლოდ... ირანში ევაკუაციისათვის“. ანდერსის არმიის ოფიცრები მეგობრულ საბჭოთა კავშირში აშკარა ჯაშუშურ და ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ. პოლონეთის არმიაში მუშაობდა ძველი დაზვერვა—„დვოიკა“, რომელიც „შორეული მიზნებისათვის“ ცნობებს აგროვებდა საბჭოთა ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების, საწყობების და სხვათა შესახებ. ანდერსის არმიის შტაბის მე-2 განყოფილების უფროსს, პოდპოლკოვნიკ ბონკევიჩს ერთხელ ასე განუცხადებია: „ჩვენმა დაზვერვამ უნდა იმუშაოს, რომ ჩვენ ვიცოდეთ, თუ ნამდვილად რად ღირს ჩვენი ეს მოკავშირე. თორემ, თუ იგი არაფრად არ ღირს, სჯობს ავიკრთ გუდა-ნაბადი და გავეცალოთ აქედან, სანამ დრო გვაქვს“. ასე უტიფრად აცხადებდა ეს პოლონელი პროფაშისტი, მაშინ როცა საბჭოთა კავშირის ღირებულება მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ბერლინგი შემდეგ სწერს: „გენერალ ანდერსის არმიაში ნებადართული იყო „ზვზ“-ს („შეიარაღებული ბრძოლის კავშირი“), ფაშული ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნა... ეს ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და საკვდილით დასჯის განაჩენები გამოჰქონდა „ბოლშევიკებისათვის“, ე. ი. იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის, რომლებზეც ეჭვს მიიტანდნენ, რომ კეთილსასურველად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა კავშირის მიმართ“. შემდეგ ბერლინგი დასძენს, რომ ანდერსი ცდილობდა საბჭოთა ტერიტორიაზე შეექმნა არმია „ფაშისტური, დემოკრატიისადმი მტრულად განწყობილი“, რომელიც „მიმართული იქნებოდა—დასაწყისისათვის ფუნდაც ემოციურად—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

„ვოლნა პოლსკა“ პოლონელი პატრიოტების მებრძოლი ორგანოა. მან მოათავსა ვანდა ვასილევსკაიას მიმართვა პოლონელებისადმი, რომელშიც განსაზღვრულია ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პოლონური დივიზიის მიზნები და ამოცანები: „პოლონეთში, სამშობლოში, მშობლიურ სახლებში მივყავართ მხოლოდ ერთ გზას — გამარჯვებისათვის წარმოებული ბრძოლისა და შრომის გზას, და უმოკლესი გზა მიდის სწორედ აქედან—საბჭოთა კავშირიდან“.

ლეპეშეგი

ჩერჩილის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 25 მაისი (საკდესი). ჩერჩილისა და რუზველტის მონაწილეობით გაართულ პრეს-კონფერენციაზე ინგლისის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ომის მსვლელობა შეიცვალა და რომ მოკავშირეები ომს განაგრძობენ მანამდე, სანამ უსატყვო კაპიტულაციას არ აიძულებენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, როგორც ევროპაში, ისე შორეულ აღმოსავლეთშიც. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ინგლისისა და ამერიკის ხელმძღვანელებმა მიიღეს მტკიცე გადაწყვეტილებანი წყნარ ოკეანეში ომის მაქსიმალური ენერგიით წარმოების შესახებ. ჩერჩილმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის გმირობასა და შეუპოვრობას და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის პერსპექტივები ამჟამად უკეთესია, ვიდრე ომის რომელიმე წინანდელ ეტაპზე იყო.

შემდეგ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უდიდესი კმაყოფილება გამოსთქვა საომარ მოვლენათა მსვლელობით.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ჩერჩილს ჰკითხა, მიგაჩნიათ თუ არა, რომ საბჭოთა კავშირის ინტერესებმა იგი იაპონიასთან კონფლიქტამდე უნდა მიიყვანოსო. ჩერჩილმა ამაზე უპასუხა, მე არ შემიძლია საბჭოთა კავშირის მაგიერ ვილაპარაკო ან ვუკარნახო საბჭოთა კავშირს, მაგრამ უეჭველად მომაჩნია, რომ არ შემიძლია წინადადება მივცე ინგლისის მთავრობას—სთხოვოს საბჭოთა კავშირს იმაზე მეტის გაკეთება, რასაც იგი აკეთებს, ვითვალისწინებ რა საბჭოთა კავშირის მიღწევებს გერმანიის კოლოსალური ძალის თავდასხმის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. შემდეგ ჩერჩილმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერებას მომავალში შეუძლია კიდევ უფრო გადიდდეს. რუსებმა უნდა იცოდნენ, რომ იაპონელები უთვალთვალებენ მათ და თავიანთ მომლოდინე თვალს არ აშორებენ, მაგრამ, განაცხადა ჩერჩილმა, მე საჭიროდ არ ვთვლი რაიმე წინადადება მივცე საბჭოთა კავშირს. რუსებმა თავი გამოიჩინეს დიდ გმირულ მოკავშირედ. მტერს აგემეს ისეთი დარტყმა, როგორსაც სხვა ვერავინ შესძლებდა, და გადიტანეს ისეთი დანაკლისი. რომლის გადატანა არ შეეძლო და არც შეუძლია გადაიტანოს რომელიმე სხვა სახელმწიფომ. საბჭოთა კავშირი სულ უფრო მეტ როლს შასრულებს ომის საბოლოო შედეგის განსაზღვრაში.

უპასუხებს რა კითხვას მომავალი გეგმების შესახებ. კერძოდ ევროპის შესახებ, ჩერჩილი აცხადებს, რომ ეს გეგმები მდგომარეობენ ომის წარმოებაში მტრის უსიტყვო კაპიტულაციამდე. ეს თანაბრად ეხება როგორც აზიას, ისე ევროპასაც და უკანასკნელ მომენტამდე იხებოდა აფრიკას.

დასასრულ ჩერჩილმა გაიმეორა თავისი განცხადება, გაკითებული კასაბლანკაში იმის შესახებ, რომ წელს მოკავშირეები ახალ, უფრო ძლიერ დარტყმებს აგემებენ მტერს.

კიბღერეღებს საბჭოთა პარტიზანებისა ეშინიათ

სტოკჰოლმი, 26 მაისი (საკდესი). შვეციის გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ იუწყება, რომ გერმანელები დაშნებული არიან ბელორუსიაში პარტიზანული ომის ზრდით. საბჭოთა პარტიზანების ოპერაციებმა ისეთი გაქანება მიიღო, რომ გერმანელები იძულებული არიან სულ უფრო და უფრო დიდი ძალები გამოიყენონ მათთან ბრძოლაში. გაზეთის სიტყვით, რამდენიმე ხნის წინათ „სს“-ელების დიდი ნაწილები და ჰიტლერული პოლიციის მრავალი რაზმი გარს შემოერტყნენ მინსკს და მთლიანად მოსწყვიტეს იგი ქვეყნიერებას. ამის შემდეგ ქალაქში დაიწყო მასობრივი ჩხრეკა, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდა. მინსკის ვერც ერთი მცხოვრები ვერ გადაურჩა ჩხრეკას.

გაზეთი სწერს, რომ, გერმანელთა აღიარებით, „ახლომახლო ტყეებში მოქმედ საბჭოთა პარტიზანულ რაზმებს ეხმარებოდნენ მინსკიდან. პარტიზანების მოქმედება ხელს უშლიდა ფრონტის მომარაგებას და მეტად აძნელებდა გერმანელ ხელისუფალთა მუშაობას“. მინსკში აღმოჩენილია იარაღის მარაგი და სურსათის საიდუმლო საწყობები.

წყალდიდობა რურში

გერმანიის სამხედრო მრეწველობის ბაზა—რურის ოლქმა 16 მაისს კვლავ განიცადა ინგლისის ავიაციის მასირებული თავდასხმა, რამაც დაანგრია მდინარეების ჯებირები და გამოიწვია დიდი წყალდიდობა. წყალდიდობამოდებულ რაიონებში 5-5 ½ მილიონი მოსახლეა. დანგრეულია უზარმაზარი წყალსაცავები. ამ ოლქის უდიდეს ცენტრების—ესენის, დორტმუნდის, დუისბურგის, დიუსელდორფის, ბოხუმის მრეწველობა წყალდიდობით მოშლილია. მდინარე რაინსა და ვეზერში წყლის დონე თანდათან მატულობს. ინგლისის ავიაციის სისტემატურმა თავდასხმებმა (მაგალითად, ესენს 1 მაისამდე 54-ჯერ დაესხნენ თავს) გამანადგურებელი ნგრევა გამოიწვია. რაინ-ვესტფალიის ოლქის ინდუსტრიულ ბრრთვში—რურში, რომელიც გერმანიის სამხედრო მრეწველობისათვის ქვანახშირისა და მეტალურგიის ძირითად ბაზას წარმოადგენს. ჯერ კიდევ ომამდე რურის ოლქი გერმანიის კოქსის 85 პროცენტს ამზადებდა, ადნობდა თუჯისა და ფოლადის 80 პროცენტს, იღებდა ქვანახშირის 75 პროცენტს. იგი გერმანიის ქიმიური მრეწველობის ცენტრია. ესენში (700 ათასი მცხოვრები) არის კრუპის საარტილერიო ქვემეხების, ტანკების, მძიმე ჯავშნის, ორთქლმავლების დიდი საწარმოები, დიუსელდორფში (542 ათასი მცხოვრები)—გერმანიის ფოლადის ტრესტის ქარხნები, დორტმუნდში (540 ათასი მცხოვრები) ამზადებენ ფოლადს, თუჯს, რკინას, დუისბურგი და ბოხუმი შავი მეტალურგიის ცენტრებია. ასეთივე სამრეწველო გიგანტებია ნეჰაიმში, ჰიუსტენში, შვერტენში, ვიტენში, გატინგენში (სადაც დენთის უზარმაზარი ქარხანაა), უნაში, ჰერდში. რური ამავე დროს წარმოადგენს მნიშვნელოვან ცენტრს რკინიგზებით, გზატკეცილებითა და სამდინარო ტრანსპორტით მიმოსვლისათვის. იგი დაახლოებით სამჯერ უფრო მჭიდროდ არის დასახლებული, ვიდრე საერთოდ დანარჩენი გერმანია.

ინგლისის ავიაციამ დაანგრია მდინარე ედერის, ზორპესა და მენეს უდიდესი წყალსაცავების ჯებირები, რომლებიც ჰკვებავდნენ მთელი რურის ოლქის მრეწველობას. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ედერის წყალსაცავი სიგრძით გაჭიმულია 11 კილომეტრზე, ხოლო ალაგ-ალაგ მისი სიგანე 4 კილომეტრს უღრის. წყალსაცავის კაშხალი მდებარეობს სამრეწველო ქალაქ კასელიდან (180 ათასი მცხოვრებია) 25 კილომეტრზე და 8 კილომეტრზე ქალაქ ფრიცლარიდან. მის ახლოს აგებულია 120 ათას ცხენისძალიანი ჰიმფურტის ელექტროსადგური. მდინარე ედერის ქვემოწელზე მოთავსებულია მთელი რიგი ელექტროსადგურები, რომლებიც ემსახურებიან ჰესენისა და ვალდეკის მთელ რაიონებს, ჰანოვერის პროვინციების დიდ ნაწილს და ვესტფალიის აღმოსავლეთ ნაწილს. ამ წყალსაცავის რაიონშია მოქცეული აგრეთვე ისეთი სამრეწველო ქალაქები, როგორიც არის მიუნდენი, ჰეჭტერი, ჰოლცმინდენი, ჰამელნი, მინდენი. მდინარე ედერის (რომელიც მდინარე ფულდს ერთვის კასელის ახლოს) წყალსაცავის მოსპობა არიდევეს შუა-გერმანიის არხის კვებას წყალით. ეს არხი კი თავის მხრივ შიდის ამ არხების სისტემაში, რომლებიც აერთიანებენ მდინარეებს რაინს, ვეზერს, ელბას, ოდერს და დასავლეთ გერმანიის მრეწველობას აკავშირებენ მის ცენტრთან და აღმოსავლეთ ნაწილთან. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მდინარე მენეს კაშხალის დანგრევას. ამით მთელი ზაფხულის განმავლობაში რურის ბასეინს წყალი არ ეკნება და ფაქტიურად ეს ნიშნავს რურის სამრეწველო რაიონის წყლის მთელი სისტემის მოშლას. წყალდიდობა ვრცელდება დორტმუნდამდე და საგულისხმოა ითქვას, რომ 50 მეტრის სიმაღლის ჯებირიდან გადმოსულმა წყალმა თავის გზაზე ყველაფერი წალეკა.

ჰიტლერულმა სამხედრო მრეწველობამ უდიდესი ზარალი ნახა. ამ ზარალის შედეგები კიდევ უფრო დამღუპველი იქნება ფაშისტური გერმანიისათვის.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 26 მაისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 25 მაისს ღამით გერმანიაში წარმოებულ ოპერაციებში მონაწილეობას იღებდა ინგლისის 600-მდე ბომბდამშენი. იერიშების მთავარი ობიექტი იყო დიუსელდორფი. თავის ბაზაში არ დაბრუნებულა 27 ბომბდამშენი.

ფიქრობენ, რომ დიუსელდორფის დაბომბვა თავისი ძლიერებით შეიძლება შეედაროს დორტმუნდზე თავდასხმას.

ნიუ-იორკი, 26 მაისი. (საკდესი). „კოლუმბიის“ რადიომაუწყებელი კომპანიის ცნობით, დორტმუნდზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის შემდეგ ქალაქში სულ ცოტა 37.000 კაცი დარჩა უსახლკაროდ.

ლონდონი, 26 მაისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ხმელთაშუა ზღვის ბასეინში 24 მაისს ღამით და გუშინ მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა მასრეტულ თავდასხმებს სიცილიაზე, სარდინიასა და პანტელერიაზე. ოპერაციებში მონაწილეობას იღებდნენ ინგლისისა და ამერიკის მძიმე ბომბდამშენები. სარდინიაში დიდად დაზარალდნენ დოკები და საკაჭრო გემები. სიცილიაში შემჩნეულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა მესინის ელექტროსადგურს, ნავსადგურისა და საქონლის სადგურის რაიონს. ლიკატში ბომბები გასტეს დოკებისა და ანგარების რაიონში, პორტო-ემპედოკლში—ქიმიური ქარხნების ტერიტორიაზე, ნავსადგურში მდგომ გემებს შუა და ელექტროსადგურში.

სერიოზული ნგრევაა გამოწვეული აგრეთვე კუნძულ პანტელერიაზე. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 23 თვითმფრინავი.

ინგლისის შორი მოქმედების ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს ჰიდროთვითმფრინავების ბაზაზე პრევეზაში, საბერძნეთის დასავლეთ სანაპიროზე. დაზიანებულია მტრის ბევრი თვითმფრინავი და დამწვარია ნავთსაცავი.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება სიცილიასა და სარდინიაზე

ლონდონი, 27 მაისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა კომიზოს აეროდრომს სიცილიაში. დაბომბეს სხვა ძირდასაშვები მოედნებიც სიცილიაში, მათ შორის პონტე ოლივეროში.

მოკავშირეთა ავიაცია კვლავ ურტყამდა აგრეთვე მოწინააღმდეგის ობიექტებს სარდინიაში. კვლავ მიიტანეს იერიში კუნძულ პანტელერიაზე.

კანადის ჯარების ახალი კონფიგურაციის ჩასვლა ინგლისში

ლონდონი, 27 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ერთ-ერთ ნავსადგურში მშვიდობით მოვიდნენ კანადის ჯარების ახალი მაშველი ძალები.

ბერძენმა პარტიზანებმა იფაღიელთა დიდი რაზმი გაანადგურეს

ლონდონი, 26 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამას წინათ ბერძენმა პარტიზანებმა გაანადგურეს იტალიელთა დიდი რაზმი, რომელიც 1.200 კაცისაგან შესდგებოდა. პარტიზანები ჩასაფრდნენ, უეცრად დაესხნენ იტალიელებს და თავს მოახვიეს მათ სისხლისმღვრელი ბრძოლა. ოკუპანტებმა 400 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით, 130 იტალიელი ჯარისკაცი ტყვედ წაიყვანეს. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდი სამხედრო დავლა, რომელშიც იყო აგრეთვე საჭურველი.

გერმანიაში უკმაყოფილება იზრდება

სტოკჰოლმი, 26 მაისი (საკდესი). ჰიტლერული პრესა შეშფოთებულია იმით, რომ გერმანიაში ვრცელდება დამარცხების მომხრეობის განწყობილება და „ყოველგვარი ხმები, რასაც ზიანი მოაქვს გერმანიის თავდაცვისათვის“. გაზეთები ჩივიან, რომ გერმანიაში „ცოტა როდია ისეთი ხალხი, რომელთაც ერთი წუთითაც ვერ გაუჩერებიათ ენა“. ამ „გამეკმელებსა და საბოტაჟიან გამწვეთ“, როგორც ერთ-ერთი გაზეთი უწოდებს იმ გერმანელებს, „რომელნიც შეშფოთებასა და უკმაყოფილებას ავრცელებენ“, არ უხდათ ანგარიში გაუწიონ იმ ფაქტს, რომ „გერმანია იძულებულია გაიღოს უდიდესი მსხვერპლი“.

ფაშისტური პრესა მოითხოვს, რომ გერმანიის სათანადო ორგანოებმა „რაც შეიძლება მალე განკურნონ მოჩუურჩულენი და საბოტაჟის გამწვენი“.

ამავე დროს ჰიტლერული გაზეთები აღიარებენ, რომ გერმანიაში მეტისმეტად გაიზარდა უსახლკაროთა რიცხვი, რაც საშიშ ხასიათს იღებს. მაგალითად, „დანციგერ ფორპოსტენი“ სწერს, რომ დაბომბვათა შედეგად სამინაო განყოფილებანი „ვერ აუდიან განცხადებებს, რომლითაც მოსახლეობა საცხოვრებელი ფართობის მიცემას მოითხოვს“. გაზეთის სიტყვით, ამ განცხადებათა უმეტესი ნაწილი უშედეგოდ რჩება, რადგან ბინები არ არის. გაზეთი ცინიკურად ურჩევს უსახლკაროებს იმით ინუგეშონ თავი, რომ სულ ერთია „ვერაფერი გაეწყობა“.

ქრონიკა

ანკარა, 22 მაისი (საკდესი). გადადგა შინაგან საქმეთა მინისტრი რეჯებ პეკერი. ახალ მინისტრად დაინიშნა მე